კოღოს კბენის პრევენცია მოგზაურთათვის

კოღოს მეშვეობით გადაეცემა სხვადასხვა ვირუსი და პარაზიტი, რის შედეგადაც შესაძლოა განვითარდეს დაავადებები: *ჩიკუნგუნია, დენგე, ზიკა* და *მალარია.* თუ აპირებთ გამგზავრებას იმ ტერიტორიაზე, სადაც გავრცელებულია მალარია, მიმართეთ სამედიცინო მომსახურების მომწოდებელს რათა მიიღოთ ინფორმაცია მალარიის საპრევენციო მედიკამენტთან დაკავშირებით.

დაიცავით თქვენი თავი და ოჯახი კოღოს კბენისაგან

- აირჩიეთ სასტუმრო ან საცხოვრებელი ადგილი სადაც ხდება ჰაერის კონდიცირება ან დამონტაჟებულია ფანჯრისა და კარის დამცავი ბადეები.
- თუ იძინებთ გარეთ ან ოთახში, სადაც არ არის დამონტაჟებული ფანჯრისა და კარის დამცავი ბადეები გამიყენეთ კოღოს საწინაარმდეგო ლოგინის ბადე.
- გამგზავრებამდე შეიძინეთ ლოგინის ბადე მაღაზიაში ან ინტერნეტით.
- აირჩიეთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ლოგინის ბადე: კომპაქტური, თეთრი, მართკუთხედი, 156 ხვრელით 2,54 სმ ^{2} -ზე, საკმარისად გრძელი, რათა ამოიკეცოს ლეიბის ქვეშ.
- პერმეტრინით დამუშავებული ლოგინის ბადეები უზრუნველყოფს მეტ დაცვას ვიდრე დაუმუშავებელი.
- არ გარეცხოთ ლოგინის ბადეები და ნუ მოათავსებთ მათ მზის შუქზე, რადგან ინსექტიციდი დაკარგავს მოქმედების უნარს.

გამოიყენეთ რეპელენტები

- გამოიყენეთ რეპელენტი, რომლის უსაფრთხოება და ეფექტურობა დადასტურებულია ორსულთათვის და მეძუძურთათვს.
- მუდამ თან იქონიეთ მწერის საწინააღმდეგო რეპელენტი.
- ყოველთვის დაიცავით პროდუქციის ეტიკეტზე მითითებული ინსტრუქცა.
- ნუ შეისხურებთ რეპელენტს კანზე სამოსის ქვეშ.
- თუ იყენებთ მზის დამცავ საშუალებას, პირველად კანი დაიმუშავეთ მზის დამცავი საშუალებით და შემდეგ მწერის საწინააღმდეგო რეპელენტით.

თუ თქვენ მიემგზავრებით ბავშვთან ან ახალშობილთან ერთად

- როდესაც აპირებთ რეპელენტის გამოყენებას ბავშვისთვის ყოველთვის მიჰყევით ინსტრუქციას.
- ახალშობილს ან 2 თვეზე ნაკლები ასაკის ბავშვებს, ჩააცვით სამოსი რომელიც დაუფარავს ფეხებსა და ხელებს, ან დაფარეთ საბავშვო საწოლი, ეტლი და ახალშობილის სატარებელი კალათი კოღოს საწინააღმდეგო ბადით.
- მოზარდები: შეისხურეთ მწერების საწინააღმდეგო რეპელენტი თქვენს ხელებზე და შემდეგ წაუსვით ბავშვს სახეზე. არ წაუსვათ მწერების საწინააღმდეგო რეპელენტი ბავშვს ხელებზე, პირზე, გაჭრილ ან გაღიზიანებულ კანზე,
- არ გამოიყენოთ რეპელენტი 2 თვეზე ნაკლები ასაკის ახალშობილსთვის.
- ლიმონ ევკალიპტის ზეთის შემცველი პროდუქციის გამოყენება არ შეიძლება სამ წლამდე ასაკის ბავშვებში.

დაამუშავეთ სამოსი და აღჭურვილობა

- გამოიყენეთ პერმეტრინი სამოსისა და აღჭურვილობის (მაგ: ფეხსაცმელი, შარვალი, წინდა, ბადე) დასამუშავებლად. წაიკითხეთ პროდუქციის შესახებ ინფორმაცია რათა განსაზღვროთ მოქმედების ხანგრძლივობა.
- ყოველთვის მიჰყევით პროდუქციის ინსტრუქციას, თუ თავად აპირებთ საგნების დამუშავებას.
- არ გამოიყენოთ პერმეტრინის შემცველი პროდუქცია პირდაპირ კანზე.